



საქართველოს მთავრობის ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

N 836 2022 წლის 13 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი
ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების შესახებ

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 მაისის №779 განკარგულებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული და ამავე განკარგულების მე-3 პუნქტის საფუძველზე უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოს 3 828 000 (სამი მილიონ რვაას ოცდარვა ათასი) ლარი, მათ შორის:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის – 1 900 000 (ერთი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარი;

ბ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის – 1 520 000 (ერთი მილიონ ხუთას ოცი ათასი) ლარი;

გ) შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის – 408 000 (ოთხას რვა ათასი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი